

მან გამოუცხადა ქუთაისის საზოგადოების საუკეთესო ნაწილს— ინტელიგენციას.

მიუხედავად ყოველ-გვარი ღირსი და უღირსი ხერხებისა, მიუხედავად იმისა, რომ ბანმა ლოლულად აღმართა დროში ძმური სიძულვილისა მეგრულთა და იმერულთა შორის, მიუხედავად მრავალ უმართლო და წვრილმან საქციელისა, ინტელიგენციამ დასძლია ყოველივე და 14 ივნისის არჩევნებში გაიყვანა თვისი უმრავლესობა.

მე გამარჯვება, ეგ ძლევა მით არის საყურადღებო, რომ იგი მოქაველში სიკეთეს გვიქადის, რადგან ერთხელ თუ გატყდა ის მრავალის ოინებით შეჭარბებული რაზმი, რომელიც აგერ ათიოდე წელიწადია ქუთაისის და მთელის გუბერნიის ბედ-იღბალს განაგებს, ეკვი არ არის, ახლო მომავალში იმათს მეფობას სწრაფად მოეღება ბოლო.

ის თავზედ ხელ-აღებულნი ვითომ-და „მოღვაწენი“ და საერო კეთილ-ღღობის მუსუსნი, რომელნიც კარგა ხანია დაეპატონენ ბანს, ქალაქსა და სხვა საამხანაგო თუ საზოგადო დაწესებულებათ ნება-უნებლიედ იძულებულნი იქნებიან ჩამოეცალნენ სცენას...

*** * * ა. ს. მედევეკას გამგზავრება სასაგარეო. გუშინ, 24 ივნისს, მეურნეობის მინისტრის რწმუნებული ი. ს. მედევეკვა გამგზავრა ბორჯომს საზღვრულად.**

*** * * ანუქურას გვადეკვას გამგზავრება სასაგარეო-გარეთ. გუშინ 24 ივნისს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟინერი ე. ლ. ვედენვევი, სადამოს მატარებლით გამგზავრა ბათუმით სამზღვარ-გარეთ საექიმოდ ერთის თვით.**

*** * * ქუთაისის ზოლადგმისტრას საქმე. სათანადო მთავრობამ ნება დართო გამოძიებულ იქმნეს ქუთაისის პოლიცემისტრის სვიმონოვის საქმე, რომელსაც ბრალდება, რომ მან დაფინე ჯოხაძისა და ვიქტორ ახვლედიანის საქმის ოქმებში მათ მიერ ყალბი ფულის გასაღების შესახებ მოათავსა ცრუ ცნობები და აგრეთვე ჩაიდინასხვა უკანონო საქციელი.**

*** * * შექმნა სასწავლებელთათვის. როგორც იმის, კავკასიის ქაშოსწავლო ოქტის მზრუნველს შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმაღლესი მთავრობის წინაშე 12 სასაფლო ნორმალური სკოლისათვის ფულით შემწეობის აღმოჩენის შესახებ.**

*** * * ოსთავების მადება უმაღლესი სასწავლებლებში. პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლებში თხოვნები მიიღება შემდეგ ვადებზე: ტენოლოგიურ ინსტიტუტში—15 ივლისიდან 10 აგვისტომდე; სამთო ინსტიტუტში 1-ლ აგვისტომდე; სატყეო ინსტიტუტში—1-ლ ივლისამდე; გზათა ინსტიტუტში და სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში—1-ლ აგვისტომდე; უნივერსიტეტში—15 ივლისიდან 10 აგვისტომდე; ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტში—15 ივლისამდე; სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში—15 ივლისამდე; საქალბო სამედიცინო ინსტიტუტში 15 ივნისიდან 1-ლ აგვისტომდე; უმაღლესი საქალბო კურსებზე—10 აგვისტომდე; კონსერვატორიაში—20 აგვისტომდე.**

— გამაგდა უსად. სასწავლებლებში დაიწყება; ტენოლოგიურ ინსტიტუტში—17 აგ.; სამთოში—25 აგ.; გზათა ინსტიტუტში—10 აგ.; სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში—15 აგ.; ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტში—15 აგვისტოს შემდეგ; კონსერვატორიაში—25 აგ.; უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელში 15 სექტემბერს.

*** * * ელექტრონის რკინის გზის შემოღება. 23 ივნისს ტფილისში მოვიდა საფრანგეთის ელექტრონის ტრამვის კამპანიის დირექტორი ბ. ვაინშტოკი, რომელსაც მიწოდობილი აქვს კამპანიისგან მოახდინოს ხელ-შეკრულება ქ. ტფილისთან ელექტრონის რკინის გზის შემოღებაზე და ახალი გზების გაყვანაზე. ბ. ვაინშტოკი არის დირექტორი იმავე კამპანიისა, რომლის წარმომადგენელია ინჟინერ-ტენოლოგი ბ. ყაზიბეგი. ბ. ვაინშტოკი უკვე შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას.**

*** * * წიგნო-საგარე-სამკითხველო საფ. ახაშენი. სოფ. ახაშენის (სილ. მაზ). მღვდელს ისილორე ვაგვევილს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს სოფ. ახაშენში უფასო სახალხო წიგნო-საკითხველო. („კავ.“).**

*** * * მკვლასის გაქურდა. სოფ. ძველ გავაზში (თელავის მაზ.) ადგილობრივი ღვთის მშობლის ეკლესიიდან ვიღაც უცნობ ბოროტ-გამზრახველთ მოუპარათ სხვა და სხვა ვერცხლეულობა და ფული.**

*** * * შექმნა უსაფუძვლო შაშა. კახეთის მევენახეები, თურმე შიშს მისცემიან, ვაი თუ ფილიქსერა ვავრცელდეს იქაურს ვენახებში. ჩობახურის სახანო ვენახებისათვის იმრეთიდან გადმოიტანეს ამერიკის ვაზი და რადგან ფილოქსერა მძინვარებს, შესაძლოა კახეთშიც გადმოჰყვესო, მაგრამ ეგ შიში სრულებით უსაფუძვლოა რადგან იმერეთის იმ ადგილებში, საიდანაც ამერიკის ვაზი გამოტანილი კახეთისათვის, ფილოქსერი არ არის დაავადებული ვაზები.**

*** * * ცნობება ქალაქის მთხოვრებას შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებით, ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა პოლიცემისტრს ცნობები ქალაქის მთხოვრების შესახებ, თუ რა ზომები იქმნა მიღებული მთხოვრების მოსასპობად ქალაქში, რამდენი მთხოვარი გაიგზავნა სამშობლოში და რომელ ქვეყანაში.**

*** * * დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რაოდენობა. ტფილისის პოლიცემისტრის წლიური ანგარიშიდან სიანს, რომ წარსული 1897 წლის განმავლობაში ტფილისში დაბადებულია 4419 ბავშვი,**

მათ შორის 2234 ვაჟი და 2185 ქალი. ამ რიცხვში კანონიერი შვილი ყოფილა 4208 (მათ შორის 2141 ვაჟი და 2067 ქალი) და უკანონო 211 (93 ვაჟი და 118 ქალი). იმავე წლის განმავლობაში გარდაცვლილა 3789 ადამიანი, მათ შორის 2185 მამაკაცი და 1584 დედაკაცი. ამ სახით, შარშან ქალაქის მცხოვრებთა რიცხვს მომატებია 650. უმთავრესად დახოცილან ერთი წლის ბავშვები (861 ორივე სქესისა) და აგრეთვე 1—5 წლის ბავშვები (802). 90 100 წლის მამაკაცი გარდაცვლილა 12 და დედაკაცი 15, ხოლო 100—120 წლის მამაკაცი 2 და დედაკაცი 5.

*** * * ლანჩუთი (გური). მკვლა და ახალი ამბება. ბედნიერება და უბედურება კაცის თავზე ორივე ხშირია. მწუხარება მხიარულებას გავიწყებს და მხიარულება კიდევ მწუხარებას. მაგრამ ჩვენში დღეს თითქმის მწუხარებამ წასქარბა: მთელ ამ დრომდე ნამუშევარი ყანები წყალმა წალეკა და ყველა ხახა-მშრალი დასტოვა. შესამჩნევი ავდრობა და წყალ-დილობა იყო, რომელმაც ამწუხარებული სიმინდები რიონს უძღვნა საჩუქრად და დავალა—რომელსაც მისი სტომაქი ვერ შეირგებდა, გადაეცა გაუმძღარ შავი ზღვისათვის! ამ ამბავმა ყველა ჩაფიქრა და დაალონა...**

მაგრამ სიმინდები თუ წყალმა მოლეკა და მამაკაცი დაალონა, სამაგიეროდ ქალი მხიარულია. ხტის, ცეკვავს, მის სიხარულს საზღვარი აღარ აქვს და მართლაც სახარელია, როცა შრომობ კაცი და ის შრომა არ გეკარგება. ეს არის პარკი, მკითხველო. ფასებმა 14 მანეთ ნახევრამდე აიწია და ცოტა არ იყოს გულს-კი აკლია უცხოეთიდან მოსულ მოვაჭრეთ, რატომ ძველებურად 7—8 მანეთად ვერ ვყიდულობთ, უფრო ბევრს მოვიგებდითო! ყველა ამბების მომხდენი დღეს ჩვენში ახლად ხორც-შესხმული და მოლონიერებული ამხანაგობაა, რომელმაც აბრეშუმის პარკს მეტის-მეტეი კარგი ფასი დასდო და იმის მიხედვით ველარც სხვა ჰყიდულობს ნაკლებში, თორემ ეს რომ არ ყოფილიყო, 5—6 მანეთად ჩაიგდებდნენ ხელში გაიძვერა ჩარჩები საწყალი ხალხის ნაოფლარს. ეს ერთადერთი სამსახური მეტად დაუვიწყარი გაუწია ამხანაგობამ სოფელ მეაბრეშუმეთ; ამხანაგობამ თუმცა დიდი ფასები დაადო აბრეშუმს, მაგრამ ამითაც არ მოელო ბოლო გაიძვერულ ვაჭრობას და პირიქით ერთ-ორად გააძლიერეს. თუ დღემდის პარკებს იაფ ფასებში ყიდულობდნენ და დღეს მეტი ფასი ადევს, სამაგიეროდ წონაში ატყუილებენ და მაინც იმავე ფასებში უჯდება, როგორც წარსულ წლებში.

ავიღოთ წვრილ-ფეხა პარკის მოვაჭრენი, რომელთაც ორ-ორი კიპიით დაუწყიათ ყიდვა და ისინიც ისეთს ფასებს აძლევენ, როგორც ღიდრონი მოვაჭრეები. სარგებლობს მით, რასაც მოიპარავს სასწორში, თორემ რა ხელს მისცემს ისეთს ვაჭარს, რომელიც მეორე საათში ფულის სიძვირის გამო ისიც სხვასთან ჰყიდის იმავე ფასში, როგორც მას უყიდა. ამაგებსაც რომ თავი დაგანებოთ, არც სხვილ-ფეხა ვაჭრები ასრულებენ სასწორის დანიშნულებას სინიღისიერად. ისინიც საკმარისად ქურდობას ეწევიან და ორ-სამ გირვანქას ყველას აკლიან, რადგანაც იციან, ჩვენს წონას ვერას გაუგებნო. კარგი იქნებოდა ბ-ნს ბოქაულს დაედა ერთი საზოგადო სასწორი, რომელზედაც შესძლებოდათ ყველა პარკის გამყიდველთ აწონათ თავიანთი საქონელი და მერმე ისე მიეტანათ ვაჭართან. დარწმუნებულნი ვართ მომავლისთვის მაინც მიიღებს მხედველობაში ამ გარემოებას ბ-ნი ბოქაული და ლანჩუთს მოუბოვებს საზოგადო სასწორს. პარკის გარდაც ხშირია წონაში მოტყუება და მიტომ საზოგადო სასწორი სწორედ მოსწრებული რამ იქნება ყველასათვისაც.

იმის მიხედვით, რომ ლანჩუთი მდიდარი სოფელი ყოფილა, გალაღებულმა თვალთ-მაქცმა აშაკიანმა მოიყვანა ვითომ-და ქონდრის ქალი და ხალხს აუწყა—მობრძანდით და ინახულეთ „ინდოელი ქონდრის ქალი“-ო. ხალხს გაუკვირდა, მართლა რა უნდა იყოს „ქონდრის ტოლა ქალი“ და ყველამ დიდის სურვილით გაუწია თანაგრძნობა „ინდოელ“ სტუმარს, მაგრამ რა ნახეს არ იკითხავთ?! რის ინდოელი, რის ქონდრის ქალი! იყო რაღაც მახინჯათ დაბადებული, სიმალლით მართლა ერთი არმინი და თავი-კი ბაბილონის გოდლის ტოლა რომელსაც ველარც-კი უმაგრდებოდა. ვნახე მეც, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, მაგრამ რა! ორი შაური ფული დავკარგე და ზედ მეტი ამ დღეს პური არ მიქამია, სანამ არ დავიფიქვ მისი მახინჯი სახე!..

ინიკე

*** * * თელავი. სამკითხველას მადგამადა. ზამთარში, როგორც ყველა სულდგმული ბუნებასთან ერთათ იძინებს და აღარა ხარობს, ისე ჩვენმა ბიბლიოთეკამ დაიძინა და აღარა ჰხარობდა. მალე გამოზაფხულდა, ბუნებამ გაიღვიძა, ყველა სულდგმული ქიანქველიდამ მოყოლებული მოძრაობდა, უხაროდა, რომ გაზაფხულდა და აღარ შასციოდა. მაგრამ ბიბლიოთეკამ აღარ გაიღვიძა, აღარც ეძინა, სულ გმინავდა და კვენსოდა. ძალიანაც შეგვაფიქრინა უცებ სული არ განუტევესო და ვიყავით ერთ დარღში. კრებაც გამართეთ. გამგებებმა უარი განაცხადეს გამგებობისა და სთხოვეს წევრებს სხვა გამგებობის ამორჩევა იქნება ჩვენ ვეჯავრებითო, ახალი გამგებებიც ამოვიჩიეთ, მაგრამ გამგებებმა ვერაფერი უშველეს, ის ისევ გმინავდა და კვენსოდა. გავიდა გაზაფხული, ეხლა-კი იმედი გადავიწყდა. დადგა ზაფხული, ერთ დღეს ჩვენმა ბიბლიოთეკამ თვალები დააქციტა, თავი მაღლა აიღო და წამოჯდა კიდევ. მივცივდივით აქეთ იქიდან განარბულნი და ვკითხავდით: რა ამბავია, ვინ გაავლიძა, ვინ დაგაღვიძა ისეთი წამალი, რომ ასე უცბათ გაიკურნო? ბიბლიოთეკამ**

იმის მიხედვით, რომ ლანჩუთი მდიდარი სოფელი ყოფილა, გალაღებულმა თვალთ-მაქცმა აშაკიანმა მოიყვანა ვითომ-და ქონდრის ქალი და ხალხს აუწყა—მობრძანდით და ინახულეთ „ინდოელი ქონდრის ქალი“-ო. ხალხს გაუკვირდა, მართლა რა უნდა იყოს „ქონდრის ტოლა ქალი“ და ყველამ დიდის სურვილით გაუწია თანაგრძნობა „ინდოელ“ სტუმარს, მაგრამ რა ნახეს არ იკითხავთ?! რის ინდოელი, რის ქონდრის ქალი! იყო რაღაც მახინჯათ დაბადებული, სიმალლით მართლა ერთი არმინი და თავი-კი ბაბილონის გოდლის ტოლა რომელსაც ველარც-კი უმაგრდებოდა. ვნახე მეც, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, მაგრამ რა! ორი შაური ფული დავკარგე და ზედ მეტი ამ დღეს პური არ მიქამია, სანამ არ დავიფიქვ მისი მახინჯი სახე!..

*** * * თელავი. სამკითხველას მადგამადა. ზამთარში, როგორც ყველა სულდგმული ბუნებასთან ერთათ იძინებს და აღარა ხარობს, ისე ჩვენმა ბიბლიოთეკამ დაიძინა და აღარა ჰხარობდა. მალე გამოზაფხულდა, ბუნებამ გაიღვიძა, ყველა სულდგმული ქიანქველიდამ მოყოლებული მოძრაობდა, უხაროდა, რომ გაზაფხულდა და აღარ შასციოდა. მაგრამ ბიბლიოთეკამ აღარ გაიღვიძა, აღარც ეძინა, სულ გმინავდა და კვენსოდა. ძალიანაც შეგვაფიქრინა უცებ სული არ განუტევესო და ვიყავით ერთ დარღში. კრებაც გამართეთ. გამგებებმა უარი განაცხადეს გამგებობისა და სთხოვეს წევრებს სხვა გამგებობის ამორჩევა იქნება ჩვენ ვეჯავრებითო, ახალი გამგებებიც ამოვიჩიეთ, მაგრამ გამგებებმა ვერაფერი უშველეს, ის ისევ გმინავდა და კვენსოდა. გავიდა გაზაფხული, ეხლა-კი იმედი გადავიწყდა. დადგა ზაფხული, ერთ დღეს ჩვენმა ბიბლიოთეკამ თვალები დააქციტა, თავი მაღლა აიღო და წამოჯდა კიდევ. მივცივდივით აქეთ იქიდან განარბულნი და ვკითხავდით: რა ამბავია, ვინ გაავლიძა, ვინ დაგაღვიძა ისეთი წამალი, რომ ასე უცბათ გაიკურნო? ბიბლიოთეკამ**

*** * * ზუზული (სამეგრელო). ზარკას მუსუსება. ამ ეამად ღ. ზუზულიში აბრეშუმის პარკის ყიდვა გაყიდვამ ძალიანი მოძრაობა გამოიწვია. მოგებსენებათ, რომ ამ წელს აბრეშუმის პარკი აქეთ გვარბიანათ გაშენდა და ფასიც მოემატა შედარებით წარსულ წლებზე, მაგ. წარსულ წელს ფუთი იყიდებოდა 6—7 მანეთად წრეულს კი 15—16 მანეთად. შეიძლება მკითხოს რომელიმე პატრიცემულ მკითხველმა: რა არის მიზეზი იმისა, რომ ამ წელს აბრეშუმის პარკის ფასმა აიწია? მოგახსენებთ: წინა წლებში აქ ბერძნები დადიოდნენ და ყიდულობდნენ აბრეშუმის პარკს. ხანდის-ხან, იქნებოდა, რომ ბერძნები პირობას მისცემდნენ ერთ-მანეთს და ყიდულობდნენ ისე როგორც უნდოდათ.**

წრეულსაც გვესტუმრნენ ჩვენი ნაცნობი ბერძნები, რომლებსაც სურდათ ისევ უწინდებურად ეფარვათ სამეგრელოში, მაგრამ ზოგიერთმა აქაურმა მეგრელებმა გახსნეს აბრეშუმის ქარხანა და ერთ

სუსტის ხმით გვიპასუხა: „კლუმბა, კო კლუმბა გამოიბიჯანა 30 მანეთი, თუ კლ...“ (თარბის მოყვარეობამ დაძლია, ლაპარაკის გარძელება დაწესდა, მუჯ-ლუგუნე წაიკურა, ჩემივე მოგებედე და ვაჩვენე—მერე რათ გინდა ეგ 30 მანეთი? იმან მწარის ღიმილით მიპასუხა: „ჰმ! რათ გინდაო, 50×50 მანეთიც რომ მქონდეს ესეც არა კმარა. რედაქციებმა ჩემზე ლაპარაკი დაიწყეს და მემუქრებოდნენ ეს 1 თვეც და მერე ნახამ შენ სეირსაო; ხომ არ დავჩევი ვაზეთების მუქთა ყლაპასაო. ეს 50 მანეთი იქ უნდა დაურეგო და ერთი ორიოდ მანეთიც უნდა მოეკოწირო „ცნობის ფურცლის“ გამოსაწერათ. წიგნები და მიძველდა და თქვენმა პატროსანმა საზოგადოებამ წიგნები სულ გამინახვერაო. სუყველა უფასოთ მლახვენ რა ხან ენა არა აქვსო და ვერაფერს გვეტყვისო. ერთ საგვარეულოში რომ ორნი იყვენ ჩაწერილნი მთელი საგვარეულო სარგებლობს. ვინ არის დამშლელო. ერთი კაცი რომ იყოს ჩაწერილი მეორე მოდის იმის მაგიერათ. გამგებები რომ გამოცვალეს. ამა რა მარგეს ახალმა გამგებმა. „ბატონო, რასა სწუხართ მაგრე, ახალი გამგებები ჯერ 1 თვეც არ არის რაც ამოვიჩიეთ“ უთხარი ეგება გული დამშვიდოს მეთქი. მაგრამ ის ისევ კვენსას და სასოწარკვეთილებას მიეცა, არა მჯერა არაფერი ამ ქვეყნადაო.

— ამანდება. 10-დამ 13-დის თელავში ქარი ჰქროდა და ციოდა სითბო 13" იყო, სუყველამ ზამთრის ტანისამოსი ჩაიცვეს და გარეთ არავინ გამოდიოდა. 14 ქარი ჩაღდა და სამაგიეროდ ცხელი-დღეები დაიქირა სიცხე 21" არის.

— მოსაგულა. ყანები აქეთ ჯერ გვიან არის, მაგრამ კარგი პირი უჩანს. ვენახებსაც კარგათ ასხია, თუმცა ზოგან საფერავი სტყუის. გლეხები სიამოვნებით შეჰყურებენ თავიანთ ოფლით ნაშრომს და იძახიან: „ღმერთო ცა და ღრუბელი დაუმშვიდეო!“

*** * * ზუზული (სამეგრელო). ზარკას მუსუსება. ამ ეამად ღ. ზუზულიში აბრეშუმის პარკის ყიდვა გაყიდვამ ძალიანი მოძრაობა გამოიწვია. მოგებსენებათ, რომ ამ წელს აბრეშუმის პარკი აქეთ გვარბიანათ გაშენდა და ფასიც მოემატა შედარებით წარსულ წლებზე, მაგ. წარსულ წელს ფუთი იყიდებოდა 6—7 მანეთად წრეულს კი 15—16 მანეთად. შეიძლება მკითხოს რომელიმე პატრიცემულ მკითხველმა: რა არის მიზეზი იმისა, რომ ამ წელს აბრეშუმის პარკის ფასმა აიწია? მოგახსენებთ: წინა წლებში აქ ბერძნები დადიოდნენ და ყიდულობდნენ აბრეშუმის პარკს. ხანდის-ხან, იქნებოდა, რომ ბერძნები პირობას მისცემდნენ ერთ-მანეთს და ყიდულობდნენ ისე როგორც უნდოდათ.**

წრეულსაც გვესტუმრნენ ჩვენი ნაცნობი ბერძნები, რომლებსაც სურდათ ისევ უწინდებურად ეფარვათ სამეგრელოში, მაგრამ ზოგიერთმა აქაურმა მეგრელებმა გახსნეს აბრეშუმის ქარხანა და ერთ

ფუთ პარკს ყიდულობენ 16 მანეთად. რა უნდა ქნას ეხლა ბერძნებმა? იგენმა ცხომ ამ ფასზე უნდა იყიდონ? დიახაც, პირველად მაგნიტაც ასე დაიწყეს, მაგრამ მერმედ მოიყიდეს ჩარჩები, რომლებიც დადიან სოფლებში და ატყუებდნენ ხალხს ფასშიც და საწონშიც. მაგ. ჩარჩები ფუთში აძლევდნენ 12 მანეთს, როდესაც 16 მანეთად იყიდება, მერმე ჩამოატანინებენ გლეხებს ქალაქში (ზუგდიდში) და იქ ბერძნები საწონშიაც ატყუებენ. რა ქნას საბრალო მუშა ხალხმა? რით შეიძინოს რამე, თუ თავისი ნამუშევარს კიდევ მოტყუებით წაართმევენ. ძალიან კარგი იქნებოდა რომ პოლიცია ამისთანა ბოროტ მოქმედებას ყურადღებას მიაქცივდეს. მეტადრე მიტომ, რომ პოლიციამ კარგად იცის რომ აქაური გლეხ-კაცობას ორი წლის სახელმწიფო გადასახადი მართებს, რომლის გასასწორებლად უყიდიან თავიანთ ქონებას. თუ პოლიცია სახელმწიფო გადასახადს კანონის ძალით მკაცრად თხოულობს გლეხ-კაცებიდან, რატომ არ ეხმარება გლეხ-კაცობას, რომ გაასაღებინოს რიგიანად თავიანთი პატიოსანი ნამუშევარი.

მოქმედება ბერძნების და მათი ჯამუშევრისა ქურდობაზე უარესია და ქურდებს რა ეკადრება ეს ვგონებ, ჩემზე უკეთესად პოლიციამ უწყის.

უმორეს ამისა ჩვენებური პატიოსან მოვაჭრეებმაც აბრეშუმის პარკის ყიდვაში, ბერძნებს წაჰბამეს: ატყუებენ საწონში, მაგრამ იმდენად კი არა როგორც ბერძნები, არამედ ორი გირვანქით მარტო!..

საშინლად მივიჩნევს, რატომ „აქციონერის“ წევრები არ აქცევენ ამას ყურადღებას? ნათქვამია ანდაზათ: „სოფელი ვნახე უძალო, მივგავიარე უჯოხო!! სწორედ ეს ანდაზა რაქმის ჩვენს ზუგდიდზედ ია კვალუაზელი

*** * * დ. მკამბირაძე.** საგულასხმა საქმე. 24 ივნისს ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლესთან გასარჩევად დანიშნულია საქმე აქაურის მცხოვრების ქ-ნ მარიამ ჩაჩავასი და აქაურისავე მცხოვრების ფარნა დავითაისი. ფ. დავითაია უჩივის ქ-ნ მარიამ ჩაჩავას, რომ მთავრობასთან დამბეზლა, ვითომც სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება ჩამედინოს და მთავრობის საწინააღმდეგო საქმეში ვრეულვარო. ამ საქმის გათავება ადგილობრივ საზოგადოებას ძალიან აინტერესებს, მით უფრო, რომ ის გახდა მიზეზად ამ ჩვენის პატარა დაბის მცხოვრებთა შორის მტრობისა და განხეთქილებისა.

*** * * ღრანდუ.** (აფხაზეთი). საბარკუშში გამოფენა. კვირას 14 ივნისს ღრანდის მონასტრის სკოლის დარბაზში მებარეშუმეთა ნაწარმოების გამოფენა გამართა კავასიის საბარეშუმო სადღურის უფროსმა მებარეშუმემ ბ-ნმა კ. მ. ზანისმა. გამოფენის მიზანი რასაკვირველია ის არის, რომ აღუძრან ხალხს აბრეშუმის კეთების სურვილი და გააუმჯობესა ადარძინონ მებურნეობის საუკეთესო დარგია

აფხაზეთის მკვიდრთა და ახალშენთა შორის.

თუმცა გამოფენის შესახებ წინდაწინვე იყო გამოცხადებული აფხაზეთ-სამურზაყანოში, მაგრამ ხალხი მაინც ძრიელ ცოტა დაესწრო და მხოლოდ ორმოციოდ კაცს ჰქონდა წარმოდგენილი თავიანთი ნაკეთები პარკი და აბრეშუმი, და ამით შორისაც, თითქმის ყველა მასწავლებლებისა იყო, თორემ ისრე სოფლის კაცისა და ქალის ნაწარმოები ძრიელ ცოტა იყო. ამის მიზეზი ჩვენის აზრით ის არის, რომ ხალხს მხოლოდ ფორმალურად გამოუცხადეს გამოფენა არისო, თორემ რა არის გამოფენა, რას ეძახიან და რა მიზანი აქვს მას, ვგარავის არ აუხსნია ხალხისათვის, ხოლო ვინ არ იცის, რომ ამისთანა საქმეში ოფიციალური გამოცხადება ცოტაა?

გამოფენის გახსნის წინ პარაკლისი გადაიხადეს შაფის ეკლესიის მღვდელმა მ. დ. ხუციყვამ და სოხუმის ეპარქიის სკოლების ზედამხედველმა მ. ფ. იასტრეხოვმა, რომელიც გამოფენის თავმჯდომარეთ იყო არჩეული.

გამოფენილი პარკები თითქმის აფხაზეთ-სამურზაყანოს ყველა კუთხეებიდან იყო გამოგზავნილი და ნაკეთებიც საზოგადოთ კარგი იყო უფრო იტალიისა და საფრანგეთის თესლისა. ორი-სამიოდ ჩვენებური პარკებიც წარმოადგინეს, რომელთა შორის კარგი ნაკეთები ბაღდადის თესლისა თეთრი და დიდრონი პარკები იყო.

გამოფენას დაესწრო აგრეთვე გუმისთის ნაწილის უფროსი ბ-ნი იაკოვიკი და სხვა ორი-სამიოდ ინტელიგენტი. მეორე დღეს გამოფენის სანახავათ ამობრძანდა სოხუმის ეპისკოპოსი არსენი და დიდი მადლობა უძღვნა ბ-ნ ზანისს, რომელსაც მართლა და ღვაწლი მიუძღვის გამოფენის მოწყობაში.

პირველად ბ-ნ ზანისს დრანდის სასოფლო სამმართველოს დარბაზში უნდოდა გამოფენის მოწყობა რადგან შუა ალაგი და ადვილად მისადგომი უფრო იქ არის სოფლის ხალხისთვის, მაგრამ დრანდის მამასახლისმა სოფლის საზოგადოების თანხმობით ერთ თუმან ნაკლებ არ დააუთმო სამმართველოს დარბაზი, თითქო გამოფენა ცირკი ანუ სხვა რამ გასართობი წარმოდგენა ყოფილიყო და არა საზოგადო სასარგებლო საქმე! აქედან ცხადათ სჩანს რანაირი სიბნელით მოცულა აქ ჩამოსახლებული ახალშენი, რომ მისთვის კეთილის მდომსა ქირასა თხოვს— უქირაოთ შენგან კეთილს და სასარგებლოს არას მივიღებო!..

ამისთვის ამბობდა ბ-ნი ზანისი, რომ, აქეთაო ყოველგან თანაგრძნობა და დახმარება მხოლოდ აქაურ მკვიდრთა მეგრულ-აფხაზეთაგან თუ მქონდა, თორემ ჩამოსახლებულები ყოველთვის ხელს მიშლიდნენო. შემდეგ ბ-ნმა ზანისმა მონასტრის თხოვა ნებართვა სკოლის დარბაზში გამოფენის მოწყობისათვის და თუმცა აქაც ბევრი შემაფერხებელი მიზეზი შეხვდა და ვერც მონასტრისაგან მიიღო სრული თანაგრძნობა, მაგრამ მაინც, როგორც იყო ისევ მონასტრის სკო-

ლის დარბაზში მოაწყვა გამოფენა. ბევრი იშრომა ამ საქმის მოწყობისათვის აგრეთვე შაფის ეკლესიის მღვდელმა-ბალაოჩინმა მამა დავით ხუციყვამ, რომელსაც აგრეთვე მშენებური ნაკეთები პარკები ჰქონდა წარმოდგენილი გამოფენაში.

ჩვენ საზოგადოთ დიდი მადლობელი ვართ ბ-ნ ზანისისა ამ მივიწყებულს მხარეში გამოფენის გამართვისათვის.

ვიმედოვნებთ არ შეუდრკება არავითარ დაბრკოლებას და შემდეგშიც ეცდება მისცეს წინსვლა მებარეშუმეობას აქაურ მცხოვრებთა შორის.

Humanus

*** * * ს. წიფარჩი** (ლენინური). სამრევლო სკოლის მდგომარეობა. ამ სოფელში ორი-სამი წლის წინად, მთავრობამ დააარსა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც აქაურ მცხოვრებლებს ისე სულზე მიესწრა, როგორც მამაკედავს წამალი და სწორედ ამ წლამდის კარგადაც მიდიოდა ხსენებულის საქმე, მაგრამ ამ წელში ქვემოთ ჩამოთვლილ მიზეზებმაც უკუღმა დაატრიალა ამ სოფლის ბედ-იბაღი და ჯერ-ჯერობით სწავლაც შეჩერებულია. საქმე იმაში გახლავთ, რომ როცა წიფარჩელები, მ. ად. მდ. დახმარებით სამრევლო სკოლას ეღირსნენ, ყველა დიდი სიამოვნებით მიეგება ამ საქმეს, და თუმცა იმავე ხანად საკუთარი სახლი ვერ აუგეს სკოლას, მაგრამ, ამ ხნის განმავლობაში, დაუზარებლად კი ზრუნავდნენ ამ საქმისათვის; და, სანამდი სახლს შეიძენდნენ სკოლაც შესაფერ ნაქირავებ სახლში ჰქონდათ მოთავსებული. 1897 წ. სოფელმა ორი თუ სამი კაცი აირჩია (კომიტეტი), რომლებსაც უნდა ეზრუნათ სამრევლო სკოლისათვის სახლის შეძენაზე. ხსენებულმა კომიტეტმა ად. მდ. და მასწავლებლის (ამ მღვდლის შვილია) დახმარებით, 1898 წ. მგონი იანვარში, სახლი უკვე შეიძინეს ხსენებული სკოლისათვის და ის იყო ფული უნდა მოეგროვებინათ მცხოვრებლებისაგან სახლის პატრონის გასასტუმრებლად, რომ, სწორედ ამ დროს იჩინა მცხოვრებთა შორის, თავი კრივმა. ქვედა წიფარჩელები (წიფარჩი ორ ნაწილად იყოფა: ქვედა და ზედა). იხსობდნენ ჩვენს ახლო უნდა დადგმულიყო სახლიო (სახლი უკვე დადგმული იყო ზედა წიფარჩეში ეკლესიისთან), ზედა წიფარჩელები ამბობდნენ კარგად გილზე დგას, ეკლესიაზე და შორება არ შეიძლებაო, აბა თუ ასეა ფულში არ შემოგიდგებიოთ, თქვენს ქვედა წიფარჩელებმა და მართლაც სისრულეში მოიყვანეს თავიანთი სიტყვა. სახლის პატრონმა უყურა ფულს, უყურა და რა ვეღარ ეღირსა, ერთ მშენებელ დილას, ეცა სახლს, მიშალ-მოშალა და თავის ეზოში დაუწყა ზიდვა, მაგრამ აქ, როგორც რიგი და წესია, სოფელს, მამასახლისი, წამოქეპავა და სახლის პატრონი თავისი შვილებით (სახლის დარღვევაში შვილებიც იღებდნენ მონაწილეობას) დაატუსაღა. ამ დღიდან რასაკვირველია საქმე კანო-

ნიერად წავიდა და ბავშვების სწავლა დღესაც შეჩერებულია.

აი ასე დატრიალდა წიფარჩელები. ათვის ერთად-ერთი ნუგეშის მომტანის, სამრევლო სკოლის, ბედ-იბაღი და, ვინ იცის, რაზე დაბოლოვდება ეს გარემოება. დღეს ქვედა წიფარჩელებიც ძალიან სწუხან თავიანთ ასეთ უვიც საქციელზე, მაგრამ რაღას მოეხმარებიან.

— რე ხაბულიანი

*** * * თიანეთის მაზრა.** უგაბუა მკვლელაბა. ს. ბაბჩილოში მცხოვრებელმა ხევსურმა სუმბათა ლიკოკელმა ს თიბათვეს აოფით მოკლა ხევსურვე სოფ. ბარისახოში მცხოვრებელი აბიკა ლიკოკელი. როგორც ამბობენ, საქმე ყოფილა ასე: სუმბათა ლიკოკელი ყოფილა ქედნებზე სანადიროდ და საითქვნაც ქედნებისთვის თოფი უსროლნია, თურმე იქითკენ ყოფილა აბიკა ლიკოკელი, რომელიც სუმბათას ვერ შეუმჩნევია; ქედნებზე ნასროლი თოფი მოჰხვედრია აბიკას და იქვე მოუკლავს.

— საშასულა სეტყვა. 7 თიბათვეს თიანეთის მაზრის სოფლებში საყარაულოში, სვიმონიანთ ხევზე, თოლენჯაში და მეღიას ხევზე შუადღის შემდეგ მოვიდა ერთი საშინელი სეტყვა, ქათმის კვერცხის ტოლა; გაანადგურა მთელი ქრნახული; სახლებს კრამიტი აღარ შეარჩინა; გაწყვიტა შინაური და გარეული ფრინველი, აგრეთვე წვრილ-ფხვი საქონელი; ეს სეტყვა ისეთი ძლიერი იყო, რომ ხევებს დაამტვრია მკლავის სისხო ტოტები, აძრო ქერქი და ფოთოლი აღარ შეარჩინა; შემდგომასავით ტიტველა ხეები დგას. საშინელი სანახავია დისეტყვილი ადგილები.

სეტყვას გზაში მოესწრო თიანეთში მომავალ ჯარის ბარგისათვის სამოც ურმამდე; სეტყვის მოსვლისას საქონელს დაეწყა ბლავილი, დამთხვა ლიკო, დაემტვრიათ უღლები, ტაბიკები და ეს ამოდენა ურმები სულ გზას იქით გადაეყარნათ. რამდენიმე კამეჩი და ხარი მოკლა. კაცებისთვის სულ თავ-პირი ჩამეტვრივნა; ყაბალახ მოხვეულეებსაც-კი გასტეხოდათ თავები; ბევრს გული შესწუხებოდა. აღწერავია ამ სეტყვის მოვლენა. თუ რამოდენა ზარალი მიეცათ მცხოვრებლებს, ჯერ არ არის გამოკვლეული.

*** * * დ. მკამბირაძე** (აფხაზეთი). მასწავლებლას გადაყვანა. როგორც შევიტყუეთ ჩვენი ორკლასიან სკოლის უფროსი მასწავლებელი ბორის ხვორავა გადაყვანილია სოფლის ერთ კლასიან სკოლის მასწავლებლად სოხუმისავე ოლქში. ამ კაცის მოშორება დიდად დააჩივრდა ოჩამჩირეს; მან დიდი სიყვარულზემ ასეთივე სიყვარული მოეპოვოს ყოველგან!.. ამ კაცის მოქმედებას და სამსახურს დიდხანს არ დაივიწყებენ ოჩამჩირელები და ნეტავ მისს ბედს ვინც ასეთი კარგს ყურადღებას დაიშახტებს საზოგადოებაში. ოჩამჩირელებმა ხომ იციან და იციან ბორისის ამბავი და დიდად დაავლებულნიც არიან მისაგან, მხოლოდ ეხლა თქვენ გატყობინებთ, რომ ეს კაცი ყო-

ველს დროს კარგის მქონეებელი იყო. რაც ეს კაცი მოვიდა მას აქეთ ორი კაცი ისე არ აშლია ერთმანეთს ოჩამჩირეში, რომ მის მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო და თავის-საქონელი ერთ-სამაგალითად მოხსენიებენ. „შევიგებინა. არც „დანოსების“ წერაში ჰკარგავდა დროს და სხ.

ლიახ ბორის ხორავა ყოველს დროს საქები არის, მარა ჩემი ქება-დიდება მაინც არ ექირვება, რადგან ასეთს კაცებს თვით საქმენი მისნი გამოაჩენენ.

— ეკვლესიას გატყვა. ამას წინად ჩვენი ეკლესია გატყვეს, მარა წაღებით არაფერი წაუღიათ, რადგან შეკეთების გამო წინაღობით ნივთები ბლალოჩინსა და დიკონს გამოეტანათ და შეენახათ სახლში. ეკლესიის გატყვა დიკონს დაბარალეს.

— ჩაფრების მოქმედება. ერძს გლეხს გოჭი მოჰყავდა გასაყიდათ. რა დაუპირდაპირდა იმ ქოხს სადაც ჩაფრებს აქვს ბინა—ერთმა ჩაფართავანმა დაუძახა გლეხს აქ მოდიო. გლეხს ეგონა გოჭის მყიდველნი იქნებიანო და მივიდა მარა მისვლის უშუალოდ გამოუცინდნენ სუყველა ჩაფრები გოჭი წაართვეს და საწყალი გლეხი სულ ცემა-ტყეპით გააგდეს. გლეხის ყვირილზე შეგროვდა ხალხი და რაკი მიზეზი იკითხეს ჩაფრებმა თქვენს ჩვენ გოჭის ყიდვა გვინდოდა და იმან გიგნება დაგვიწყაო. მხოლოდ გლეხი ტიროდა: მე სიტყვაც არ მითქვამს და არც არაფერი უკითხავთ ჩემთვის გოჭი წამართვეს და მეც უწყალოდ მცემეს და რაკი უფროსთან დავაპირე წასვლა დამიკირეს და ხევზე მიპირებდნენ მიკვრასაო. მთელი დღე ეს გლეხი არც ქალაქში გაუშვეს და არც სახლში და ვინ იცის ხალხი არ მიშველებოდა მთლად შემოაკვდებოდათ ხელში ჩვენი ჩაფრების ასეთი მოქმედება პირველი არ არის ბევრი ბევრი კიდევ ამისთანა და ამაზე უარესიც ვიციოთ მათი ნამოქმედარი საქმე. ამისთვის საჭიროა ასეთს ჩაფრებს ყურადღება მიექცეს.

—
*** * * აბაშა** (სამეგრელო). მადლათას გამოცხადება. ბ-ნო რედაქტორო. უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის შემწეობით, უგულთადადესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე მშობლებიდანაც, რწმუნებულ ჩემ მიერ აბაშის საზოგადოების სამინისტრო სკოლის შევირდებისა, მცხოვრებს ამავე საზოგადოებაში, მეორე გრდის ვაჭარს, პეტრე ანდრიაძე ქაიფას, რომელმაც ამ წლის 20 მარტს შემოსწირა აბაშის საზოგადოების სკოლას ოთხი სურათი, მშენებრად მოვარაყებულ ჩარჩოებში: ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცისი, მთელი მათი ოჯახობისა და ერთი მაცხოვრის ხატი, სულ ღირებული ათ მანეთად. აბაშის სამ. სკოლის მასწავლებელი ენოლია

დიდი-ზინიანი. (იმერეთი) მადლათას შემოწირულობისათვის. ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულთადადესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომ

მელთაღ შემწეობა და შემოწირუ-
ლება აღმოუჩინეს დიდი-ჯიხაიშის
ახლათ დაარსებულ სამკითხველოს.
სიმონ სარიდანის ძე ლორთქიფა-
ნიძემ 31 ქართული წიგნი ღირე-
ბული 17 მ. 7 კ. სიმონ ბ. ლო-
რთქიფანიძემ 19 რუსული წიგნი
ღირებული 12 მ. 15 კ. ვალერიან
მ. ლორთქიფანიძემ 18 ქართული
და 26 რუსული წიგ. ღირ. 11 მ.
88 კ. ედუ ლორთქიფანიძისამ 6
ქართული წიგ. ღირ. 1 მ. 65 კ.
იოსებ დიდიძემ ყაზბეგის თხუთსე-
ლებები 3 წ. სერგია ბ. ლორთ-
ქიფანიძემ 5 წიგ. ღირ. 75 კ. ნე-
სტორ ლორთქიფანიძემ 13 ქარ.
წიგ. ღირ. 3 მ. 75 კ. ანდრია ან.
შუბლაძემ ქართულ-რუსული წიგ.
11 მ. 75 კ. ლევან ქილაძემ 6
ქართული წიგ. ღირ. 1 მ. 66 კ.
ანეტა ნ. ლორთქიფანიძისამ 8
ქართული წიგნი 1 მ. 75 კ. გრი-
შა ქ. ლორთქიფანიძემ 61 საყმა-
წვილო რუსული წიგნი—11 მ.
75 კ., დარისპან ლორთქიფანიძემ
ქართული წიგნი—4 მ. 50 კ., მღ.
სამსონ დევიძემ 23 ქართული წი-
გნი—5 მ. 40 კ., 3. ლ—ძემ 44
ქართული წიგნი 31 მ. 95 კ.

პირველად მხოლოდ ამ პირთ
ვეცხადებ მადლობას, ვინაიდან
მათგან ეს წიგნები შეკრებივ
წარსული წლის მარამობისთვის
ში და დღემდე მადლობა დავა-
გვიანე კიდევ იმ მიზეზისა
გამო, რომ აქამდე სამკითხველო
დაფუძნებული არ გვექონია, ხოლო
იმ პატივცემულ პირთ სიასაც,
რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს
სამკითხველოს მისი დაფუძნების
დღეს მალე ვაახლებ პატივცემულ
რედაქციას.

მმართველი სამკითხველოსი 3. ლორთ-
ქიფანიძე

სხვადასხვა ამბები

ქალის ძველი. საზოგადოდ ქალი-
სათვის ძველის აგება იშვიათ მოვლე-
ნას შეადგენს, თათქმის ისეთ დაწინა-
ურგულ ქვეყანაშია კი, როგორც
არას ამერიკა, სადაც მამაკაცობის ქა-
ლების გათანაწილების საქმე ყველაზე
უფრო წინ არის წასული. ამას წინადა
ამერიკის გახურობის გამოაცხადეს ქანის
ბახერ-სტაუს ძველის აგება, რომელ-
მაც დასწერა ცნობები წიგნი „ბოძა
თომას ქოსი“ და ამ წიგნით დიდად
შეუწყო ხელი ნეგრების განთავისუფ-
ლების საქმეს. დღემდე ამერიკაში არ-
სებობს მხოლოდ ორი ქალის ძველი:
ერთი ბოსტონში ინგლისელ ქალის
გარეუტ მარტინისი, ცნობილ ზოლი-
ტიკოს-გონდომისი ქალისა, რომელმაც
სახელი გაითქვა თავისი ფილანტრო-
პიული მოღვაწეობით, მეორე ძველი
კი—ქ. ახალ ორლეანში; ამ ქალაქმა
ძველი აუგო ერთ გაჭირვებულ მერძე-
ვე ქალს მარი გოკარის, რომელმაც
ფართო ნადავზე დააყენა ავადმყოფე-
ბის დახმარების საქმე ამ დროს, რო-
დესაც საშინლად მივიწყებდა ყვავი-
ლი, და რომელიც ბედის თვითონ
შეიქმნა ყვავილის მსხვერპლი.

პოლონელი ედისონი. ასეთი
სახელით შეამო ვენის ურხა-გაზე-

თბამ ერთი ასაღვანდა ზოლონელი
აღმოჩენა ან შეპანია, რომელმაც
აღმოაჩინა ის, რაც აქამდე ვერ აღმო-
ჩინა თვით ედისონსაც კი, სხუდღებ
„ტელექტროსკოპი“, ისეთი ახარა-
ტა, რომელიც სიმარეზე გადმოგ-
ნემს სურათის ბუნებრივი ფერებით.
გარდა ამისა შეპანია გამოიყენა ელექ-
ტრონის საფუძვლად დამოუკიდებ და ისე
მშვენივრად ქარგავს, რომ მას შეუძლე-
თეს უშუალოდ ვერცხვის მიქარ-
გვა, რომელიც უნდა მართდებ იმე-
რატორს ფრანკ-ისკუს.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),
22 ივნისი.

სავსაბოლოო. იახტა „ამფი-
ტრიდატი“ მობრძანდა საბერძნე-
თის დედოფალი ოლა კონსტან-
ტინეს ასული შვილებითურთ. მათ
უმადლესობას მიეცებნენ ქალები
თავიგულებით და მმართველობა.
დედოფალი დასწრო წმ. ვლადი-
მერის ტაძარში ღვთის მსახურებას
და საზღვაო კრებას. პეტერბურგს
გაემგზავრება 22 ივნისს.

ვაზინგრონი. სამხედრო სამი-
ნისტრომ შაფტერისაგან შემდეგი
დეპეშა მიიღო: „ვენიშობ, რომ
ვერ გაცნობთ საქმით ციფრი
დღევანდელი დღის ზარალისა. სა-
ჭიროა გამოიგზავნოს მზად გაწყობი-
ლი საგონსაბათლო გემი, რადგან
უფროსი ექიმი ამტკიცებს, რომ
სამუშაო 40 მეტ ექიმისათვის არი-
სო“. ვაზინგრონის უფროსმა ექი-
მებმა გადასწყვიტეს, გაეგზავნოს
შაფტერს დაუყოვნებლივ შემწეო-
ბა დაქრითათვის.

მადრიდი. გუშინ მიღებულ იქ-
მნა ოფიციალური დეპეშა, რომე-
ლიც იუწყება, რომ ამერიკელები
ემზადებიან თავს დასაცემათ, და
ესპანელებს არ მოსვლიათ ის მო-
შველე რაზმი რომელიც 9 დღეა
რაც გამოვიდა მანზანილიდან ას-
კაიოს მეთაურობით.

მადრიდი. გენერალი ბლანკო
დეპეშით იუწყება შემდეგს: 1 ივ-
ლისი ახ. სტ. დღეს შუადღისას
ამერიკელები შესაზარავათ დაეც-
ნენ სანტ-იაგოს, რომელიც მტერ-
მა აიღო ძლიერი წინააღმდეგობის
შემდეგ. ჩვენი მხრიდან ნახევარზე
მეტე ძალა მოგვაკლდა. გენ. ლი-
ნარესი ძალიან არის დაქრული.
კომანდა გალაკემული აქვს გენ.
ტომვალუს. მტერმა ორჯერ მოი-
ტანა იერიში კანეიაზე. ზარალი
ძალიან საგრძობელია. ესკარის
და ნარეხოს რაზმებზე არაფერი
ისმის.

23 ივნისი

კაბარბაზი. უმაღლესი უქაზი.
კავკასიის სამხრეთ და დასავლეთ
ნაწილებში ჩასახლებულ რუსთა
ინტერესების დასაცველად მიღე-
ბულია, რომ უცხოელებს გარეშე
პორტებისა და ქალაქის მოსახლე-
ობისა უნდა დროებით აღეკრძა-
ლოთ შემენა უძრავ ქონებისა გა-
რდა შემდეგ ჩამოთვლილ შემთხ-

ვევებისა: როდესაც უცხოელს უნ-
და გახსნას და გამართოს ქარხანა
ან ზავოდები სამთო სამრეწველო-
სი. ამ შემთხვევებში მსურველთ
შეუძლიანთ შეიძინონ მამულები,
როდესაც მათ ექნებათ მოწოდებები
კავკასიის მთავარ-მართველისაგან
მიცემული.

ვაზინგრონი. შაფტერი იუწყ-
ება: სანტ-იაგო აღმოსავლეთით
და ჩრდილოეთით ალყა შემოვრ-
ცმულია, მაგრამ ძალიან სუსტად
კი. შევნიშნე ისეთი სიმარეები,
რომ ჩემის ძალით მათი აღება მე-
ეძევა.

შაფტერს გაგზავნება ინსტრ-
უქცია.

სამხედრო სფერაში იმ აზრისა-
ნი არიან, რომ შეყენებულ იქმ-
ნეს დროებით შაფტერის მოქმე-
დება, რომ მიშველება მიესწროს
და ჯარმაც შეისვენოს.

უკანასკნელი აზრით ნიუ-იორკში
ძალიან აღელვებულია სამხედრო
სამინისტრო. ეს ცნობა გადაეცა
მაკ-კინლეს. შაფტერის მისაშვე-
ლებლად გაიგზავნება საქმით ძალა.

ვაზინგრონი. თეთრ სახლში
მოვიდა ცნობა, რომ ევირას სამ-
სონი შვიდაპორტ სანტ-იაგოში
და სრულიად განადგურა სერვე-
რის ფლოტი.

სამხედრო სამინისტრო იუწყება,
რომ მთელი ისპანიის ფლოტი ერ-
თი გემის გარდა განადგურებულ
იქმნა ნაპირებთან გადაწვით.

შაფტერი აუწყებს თეთრ სახლს:
დღეს მე მოვიტხოვე სანტ-იაგოს
დამორჩილება. დავემუქრე ყუმბა-
რების დაშენით. ვფიქრობ რომ
დამნებდება.

ნიუ-იორკი. სერვერის ესკად-
რის დაღუპვაზე ამბობენ, რომ ის-
პანიის გემები დაეწყენენ ნაპირე-
ბთან, შემდეგ თითონვე წაუქიდეს
ცეცხლი, რის გამოც მთელი ფლო-
ტი ჰაერში აფეთქდა.

განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის
გამგეობა**

ამით საუკველობოდ აცხადებს,
რომ ამ წლის ივლისის 4-სა
დღესა გამგეობის სადგომში
მოხდება საჯარო ვაჭრობა
იჯარით განსაწყობად 1899 წლის
30 ანრილიდამ ექვსი წლის
ვადით ქალაქის თავისუფალი
აფთეკისა, რომელიც ეწინა
იჯარით უჭირავს პროვიზორ
კამოცკის. პირობებისა და სა-
ჭირო ქაღალდების ნახვად შეი-
ძლება ქალაქის გამგეობაში,
ყველა საქმეზე დღის დღის
8 საათიდან 1 საათამდე.
(3—2)



ღვინის ქარდავი
„იკალთო“
თ. ვიორგი ბ. მუხომბაძის მიერ
გოლოვინის ბრძანებით, თავ. კ. ორბელიანის სსს.
№ 15, სახლი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავ-
სენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

იკალთო
ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე,
ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ
Князя Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
„ИКАЛТО“**
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К.
Орбелиани, № 15.

КУРСЪ БУХГАЛТЕРИИ,

состоящий изъ слѣдующихъ предметовъ:
1) Бухгалтеріи двой ой италянкой по разнымъ отраслямъ торговои про-
мышленности,
2) Коммерческой ариеметики (банковья и торговья операци),
3) Ариеметики на счетахъ.
4) Коммерческой экономіи,
5) Торговьихъ и вексельныхъ узаконеній.
преподаеть И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-
хоз. кредита и препод. школы садоводства.

Плага за весь курсъ 60 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ
часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

Аттестаты за успѣшныя занятія отъ реального училища и школы
садоводства.

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариеме-
тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариеметич. вычисления на счетахъ
2) монетныя вычисления, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операци, 5) тор-
говья товарищества, 6) банки и ихъ операци, 7) биржевыя операци (520 за-
дачь и таблицъ). Цена 2 руб. Продаеться во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у
явтора: Михайловская ул., д. № 71, и Брягинская, сельско-хоз. банкъ.
(100—20)

**საზღვევი საზოგადოება
„იპკოლი“**

შეადგენილ დაბტყიებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო
დეპუტატი
დავლევან ცხელისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დავლევან სიცოცხლისა და თანხებისა
შეღვათიანის პირობებით, მაგალითად შეღვათი იმ შემთხვევაში, როცა
დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა
ეძლევა საზოგადოების მოგებიდან
დავლევან უმაღლო უამონხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში,
აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას
დავლევან ბაზავენილ საქონლებისა
ზღაველ, მდინარეებზედ თუ ხმელთაზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა
თხევებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება
მიჭმართან ტფილისის კონტრაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე
გრაგოლას-ქის სერგეევს, ერევნის მოედნის უკრში თავ. ციციშვილის
სახლგეში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

Страховое общество „ЯКОРЬ“
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: 1) Страхование отъ огня, 2) страхование жизни и капита-
ловъ, 3) страхование отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхование тран-
спортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича
Сергѣева
на углу Эриванской пл д. кн. Цицанова № 2. (50—29)